

მწყემსური (მესაქონლეობის) ლექსიკა მეგრულ ფიტონიმიაში

მეგრულ ფიტონიმებში სოლიდური რაოდენობით გვხვდება სიტყვები, რომლებიც მწყემსურ (მესაქონლეობის) ლექსიკას შეიცავს, ან გარკვეული ფორმით არის დაკავშირებული მასთან. ტერმინთა ნაწილი ზედმიწევნით იმეორებს ქართულ სტრუქტურას და სემანტიკას, ნაწილი ანალოგს პოვებს ლაზურში, სვანურში. სახელდება ძირითადად მოტივირებულია, გვხვდება მოტივაცია-დაჩრდილული ფორმებიც.

სახელდების მოტივაცია სხვადასხვაგვარია:

1. შედარება ამა თუ იმ ცხოველთან, ან მის ორგანოსთან:

ფაშატიშ კუდელი „ცხენისკუდა“ (მაყაშვილი 1991: 151), ზედმ. „ფაშატის კუდი“. სახელდება მიიღო ფორმის მიხედვით და იგივეა, რაც ქართული **ცხენისკუდა**.

გინიში ჯღონჯღო „ღიჭა“ (მაყაშვილი 1991: 146). **ჯღონჯღო** მეგრულში „საქონლის ცხვირ-პირს, დრუნჩს“ ნიშნავს, აგრეთვე „ღვიძლს, ფილტვს, ზოგადად, შიგნეულს“. სინტაგმური ფიტონიმი ზედმიწევნით „ხბოს დრუნჩია“ ან „ხბოს ღვიძლი, ფილტვი, შიგნეული“. ჩანს, სახელი დაერქვა გარეგნობის მიხედვით. შდრ. მოხ. **ღორის ნაწყლაი** „ღიჭა“.

ფუჯიში ნინა „ირმის ენა“ (მაყაშვილი 1991: 151); შდრ. ლაზური **ფუჯიშ ნენა** ზედმ. „ძროხის ენა“, **ხოჯიშ ნენა** ზედმ. „ხარის ენა“ „id.“, ასევე **გენოლა / გელენა** „ირმის ენა“

(მაცაშვილი 1991: 143), რომელიც ზედმიწევნით „ხბოს ენას“ ნიშნავს. სახელდების მსგავს მოტივაციას გვიჩვენებს ქართული დიალექტური მასალაც: იმერ., გურ. **ძროხიენა, ფურიენა** „ირმის ენა“.

შხურიში ჭი / შხურიში ჭუ „კატაბარდა“ (მაცაშვილი 1991: 151). სინტაგმა ზედმიწევნით „ცხვრის ნაწლავს“ ნიშნავს. მისი სინონიმია **ჩიქვიშ ჭი**, ზედმ. „ჩხიკვის ნაწლავი“. გაუგებარია, „თოკივით გრძელი, ხეზე მიბმული“, მკვრივი მცენარის სახელდებისას ფრინველის ორგანოსთან შედარება ლოგიკურად ჩავთვალოთ, შესაძლოა, ეს უკანასკნელი ფონეტიკურად სახეცვლილი, უკვე სემანტიკა დაჩრდილული სხვა სიტყვა იყოს.

იმავე ტერმინით, ოღონდ ფონეტიკურად სახეცვლილით გადმოიცემა „გარეული ვენახის“ მეგრული სახელწოდება **შხურიჩი** < * **შხურიში ჭი** ზედმ. „ცხვრის ნაწლავი“.

ჯოღორიში ნინა „ფურისულა“ (მაცაშვილი 1991: 153), ზედმ. „ძაღლის ენა“. სახელდება მცენარის ფორმის მიხედვით ხდება.

ცხენიშ მაკიბირაია „ცხენისკბილა“ (მაცაშვილი 1991: 152). მეგრული ტერმინიც ქართულის მსგავსად „ცხენის კბილს“ ნიშნავს. მცენარეთა სახელდებისას გამოყენებულ **მა-ია / მა-აია** ცირკუმფიქსზე იხ. ქვემოთ.

ხოჯიში თოლი „ნარცეცხლა“ (მაცაშვილი 1991: 153), „ვაზის ჯიში“. გამოირჩევა მსხვილი მარცვლებით, სახელდებისთვის შეირჩა ცხოველის ორგანო, კერძოდ, ხარის თვალი.

2. სახელდების მოტივაცია მცენარის თვისების, გემოს მიხედვით:

მაზჟალია / მაჯჟალია / მეზჟალე „რძიანა“ (მაცაშვილი 1991: 148). მცენარე გამოყოფს რძის მაგვარ თეთრ, ბლანტ სითხეს. სახელიც ამ თვისების მიხედვით არის შერჩეული. ეს ტერმინი საერთოა ქართულის დიალექტებისთვის, მეგრულისთვის, ასევე სვანურისთვის: მოხ., მთიულ. **რძევანა**, რაჭ. **მერძევალა**, ლეჩხ. **მერძეულე**, რაჭ., იმერ., გურ. **რძიარძია**, ინგ. **ზიანა**, სვან. **მელჯოლოლ** „რძიანა“. მეგრულ ფიტონიმში ჩანს „რძის“ აღმნიშვნელი **ზჟა / ვჟა**. ზოგადად, მცენარეთა აღმნიშვნელ მეგრულ სიტყვებში ხშირად დამატებულია **მა-ია / მა-აია** პრეფიქს-სუფიქსი. შდრ.: **მა-გვიმარა-ია** „ჩადუნა“ < **გვიმარა** „გვიმრა“, **მა-ისირ-აია** „ისლი“ < **ისირი** „ისლი“, **მა-კიფ-ია** „ორკბილა“ < **კიფი** „კანაფი“, **მაფატია** „მჭადა“ < **ფატი** „ფეტვი“, **მაჭუჭელაია** „ჭინჭრის დედა“ < **ჭუჭელე** „ჭინჭარი“...

იმავე მოტივაციით უნდა იყოს შერჩეული ღორის ქადის მეგრული სახელწოდება **ზჟალე** (მაცაშვილი 1991: 146). საინტერესოა, რომ ამ მცენარის სვანურ სახელწოდებაშიც ჩანს რძის აღმნიშვნელი ძირი: **მელჯა** „ღორის ქადა“ (ლგჯე სვან. „რძე“).

მეგრულ ფიტონიმებში მცენარის ვარგისიანობის აღსანიშნავად ხშირად გამოიყენება სიტყვა **ჯოღორი** „ძაღლი“, კერძოდ, სინტაგმურ ფიტონიმებში **ჯოღორი** გვხვდება ველური მცენარის აღსანიშნავად. მაგ. **ჯოღორიმ მაცურზენაია** „ძაღლყურძენას“ ნიშნავს. შედ. ლაზური **ჯოღორ ცურძენი** „ძაღლყურძენა“ (მაცაშვილი 1991: 145).

ნივრის ველურ ჯიშს აღნიშნავს მეგრული **ჯოღორიშ ნიორი** „ყანის ნიორი“ (მაყაშვილი 1991: 153). იგივე ტერმინოლოგიური შესიტყვება გვხვდება ლაზურშიც: **ჯოღორლი** „ყანის ნიორი“ (იქვე: 145), **ლეი / ლერი** (ლაზ.) „ნიორი“ (მარი 1910: 16). სიტყვა **ძალლი** ჩანს „ყანის ნივრის“ აღმნიშვნელად ქართული ენის დიალექტებში: კახ., ფშ. **ძალღ-ნიორა**, ჯავახ. **ძალღახავა**, ინგ. **ზაღლი ზაზ** „ყანის ნიორი“.

მეგრულ ფიტონიმებში **ჯოღორი** მსაზღვრელად გამოიყენება მცენარის (ხილის) უვარგისი გემოს, სიმჟავის აღსანიშნავად: **ჯოღორცომური** ზედმ. „ძალღტყემალი“ ტყემლის ჯიშია, რომელიც განსაკუთრებული სიმჟავით გამოირჩევა. იგივე მოტივაციაა სახელდებისთვის მეგრულ ფიტონიმში **ჯოღორიში მუცია** „ძალღმაყვალა“ (მაყაშვილი 1991: 153).

3. სახელდება დანიშნულების მიხედვით:

ბჟაწური „კეწერა“ (მაყაშვილი 1991: 146) ეტიმოლოგიურად „რძის საწურს“ ნიშნავს. ეთნოგრაფიული მასალა გვიდასტურებს, რომ საზაფხულო იალაღებზე რძის გასაწურად მცენარეებს, ძირითადად გვიმრას იყენებდნენ. ამასთან დაკავშირებით საინტერესო ცნობას გვაწვდის თ. სახოკია თავის ეთნოგრაფიულ ჩანაწერებში „მოგზაურობანი, სამურზაყანო“: „რძეს ასხამენ სპილენძის ქვაბებში, რომლის თავზე ორი ჯოხია გადებული და შუაში ხის ქერქისაგან, ოთხკუთხ კოლოფის მსგავსად, გაკეთებული საწურავია რძისა, ქვეშ ამ საწურავს გვიმრა უფენია სქლად“ (სახოკია 1985: 366). იმავეს ადასტურებს ველზე მოპოვებული ემპირიული მასალაც.

ჩანს, სააფუნო იალაღებზე რძის გასაწურად გვიმრასთან ერთად **ბჟაწურიც** გამოიყენებოდა.

4. საქონლის სამკურნალო ფიტონიმები:

ყვაპუშ წამალი „ლემა“ (მაყაშვილი 1991: 151). **ყვაპუ** / **ყვაპა** „ღორის, და საერთოდ შინაური საქონლის ავადმყოფობაა“. შდრ. იმერ. **ყაპუ** „ღორის ავადმყოფობა“; რაჭ. **ყაპო** „ღორის ავადმყოფობა“; იმერ. **ღორის ყაპო** „ერთგვარი ავადმყოფობა ღორისა“. სახელწოდება მეგრულად „ყაპოს წამალს“ ნიშნავს. მცენარემ დასახელება მიიღო სამკურნალო თვისების მიხედვით.

გვხვდება **ყვაპუ** / **ყვაფუ**-ს შემცველი ფიტონიმი, სადაც საზღვრული ჩავარდნილია: **ყვაფუში** „ტყის ფურისულა“ (მაყაშვილი 1991: 151)

ყვაპუს წამალს სინონიმიც აქვს, რომელიც ასევე კურნების, წამლის სემანტიკას ატარებს: **ჩხოლუშ(ი) ჭირიშ(ი) წამალი** „ლემა“ (მაყაშვილი 1991: 152) მეგრულად „ძროხის ჭირის წამალს“ ნიშნავს.

წირკეში წამალი „ლენცოფა“ (მაყაშვილი 1991: 152), ზედმ. „წირკეს წამალი“. **წიკე** / **წირკე** / **წინკე** / **წინიკე** „ცხენის ავადმყოფობაა“. ეტიმოლოგიურად და სემანტიკურად **წინკე** / **წირკე** „წელკავს“ ნიშნავს. ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით იწვევს წელის ისეთ ტკივილს, რომ სიკვდილით მთავრდება.

მოტივაცია გაბუნდოვანებულია ფიტონიმში **გირინიში ძია** „ჩალამძივი“ (მაყაშვილი 1991: 146), ზედმ. „სახედრის, ვირის მძივი“, მაგრამ საინტერესოა, რომ საზღვრული

მეორდება მის აჭარულ შესატყვისში **თესპეს მძივი** „ჩალა-მძივი“.

შეგვიძლია ვარაუდები გამოვთქვათ **ლეჯის** („ღორი“) შემცველი მეგრული მცენარეთა აღმნიშვნელი სიტყვების სახელდების მოტივაციაზე. მეგრული **ლეჯი** ჩანს ფიტონიმებში: **ლეჯიმ დოლო** „იგივეა, რაც ქამენია, ანაგვირილა“ (ქაჯაია 2002: 172), **ლეჯიმ(ი) კეტი** „გლერტა“ (მაყაშვილი 1991: 151), **ლეჯიმ(ი) პურასკია** „ცისთვალა“ (იქვე), **ლეჯიმ(ი) ცვალმინთა** „ტენცო“ (იქვე), **ლეჯიმ ქამენია** „ანაგვირილა“.

ლეჯიში კეტი (ზედმ. „ღორის ჯოხი, კეტი“) შესაძლოა მცენარის თვისებაზე მიგვითითებდეს – ის უხეში, მაგარია. **კეტი**- ელემენტი ჩანს ფიტონიმის სინონიმებშიც: **დოლო-კეტი / ჯოლოკეტი**, თუმცა, არაა გამორიცხული, რომ **კეტი** ფონეტიკურად სახეცვლილი სრულიად სხვა სიტყვა იყოს.

ლეჯიმ ცვალმინთასთან (ზედმ. „ღორის პიტნა“) დაკავშირებით უნდა ვივარაუდოთ, რომ **ლეჯი** („ღორი“) მსაზღვრელად პიტნის ველური სახეობას აღსანიშნავადაა დამატებული. შდრ. მეგრ. **ცვალმინთა** „პიტნა“. სხვა ფიტონიმებისთვის სახელი შერჩეულია მათი გემოს, სუნის მიხედვით.

ცნობილია, რომ ღორი გარკვეული სახის მცენარეებს არ ეკარება მათი მძაფრი სუნის გამო. **ლეჯიმ ქამენია** „ანაგვირილა“. ამასთან დაკავშირებით საინტერესო მასალას გვაწვდის მეგრული ანდაზა: **ღეს ქამენია ჯოგუდუა დო ჩხვინც ეალებდუა (გეურჩქინდუა)** „ღორს ანაგვირილა სძულდა და ცხვირწინ ხვდებოდათ (ამოუვიდაო)“ (ხალხური სიბრძნე 1994: 147). **ლეჯიმ დოლო**, ეტიმოლოგიურად „ღორის ბალახი“ (მეგრული **დოლო** (<ქართ. მდელო) „ბალახი“) და

ღეჯიშ(ი) პურასკია (პურასკია „პრასა“) მიგვითითებს ამ მცენარის მიმართ ღორის დამოკიდებულებაზე, ცნობილია, რომ ღორი ამ მცენარეებს არ ეკარება. აღსანიშნავია, რომ ანაგვირილას სახელწოდებად აფხაზურმაც ღორის აღმნიშვნელი ა-ჰა გამოიყენა: ა-ჰაკამა „გვირილა“ კომპოზიტია, მისი მეორე ნაწილი კამა ქართულიდანაა ნასესხები, ეტიმოლოგიურად „ღორის კამას“ ნიშნავს (მაჭავარიანი 2006: 100).

გვიჭირს ჩვენი ვარაუდი გამოვთქვათ **ჯოდორ**-ის („ძაღლი“) შემცველ მეგრულ ფიტონიმებზე **ჯოდორიში ბაიე** „ლომისკბილა“ (მაყაშვილი 1991: 153), **ჯოდორიში დუდი** „დევისპირა“ (იქვე). შესაბამისი ქართული მასალა უკანასკნელ ფიტონიმს ფაუნასთან აკავშირებს: ქართლ. **ძაღლი-პარია**, კახ. **ლომის ყბა**, **შაშვის ყბა**. შესაძლოა, **ჯოდორიშ ბაიე** (ეტიმ. „ძაღლის ბაია“) ამ მცენარის მიმართ ძაღლის დამოკიდებულებას გამოხატავდეს – ძაღლი ან ეტანება, ან, პირიქით, სძულს ამ მცენარის სუნი (სახელდების მოტივაციისთვის იხ. ზემოთ **ღეჯიშ ქამენია**...).

სტრუქტურული თვალსაზრისით მწყემსური (მესაქონლეობის) ლექსიკის შემცველი მეგრული ფიტონიმები ასე გამოიყურება:

მარტივფუძიანი: **ბჟალე** „ღორის ქადა“.

წარმოქმნილი: **მაბჟალია** / **მავეჯალია** / **მევეჯალე** „რძიანა“.

კომპოზიტური: **ბჟაწური** „კეწერა“, **ჯოდორცომური** „ტყემლის სახეობა“.

ტერმინოლოგიური შესიტყვებები (სინტაგმები): **გინიში ჯღონჯლო** „ღიჭა“, **გირინიში ძია** „ჩალამძივი“,

ფაშატიში კუდელი „ცხენისკუდა“, ლეჯიმ ქამენია „ანაგვირილა“...

გვხვდება სამკომპონენტიანი შესიტყვებაც: **ჩხო-
უიშ(ი) ჭირიშ(ი) წამალი** „ლემა“.

რამდენიმე სინტაგმურ კომპოზიტში საზღვრული ჩავარდნილია და ტერმინი გენეტივის ფორმითაა წარმოდგენილი: **ყვაფუში** „ტყის ფურისულა“, **შხურიჩი** „გარეული ვენახი“.

ლიტერატურა:

მარი 1910 – Н. Я. Марр. Грамматика чанского (лазского) языка с хрестоматиею и словарем. С.-Пб.

მაცაშვილი 1991 –ა. მაცაშვილი, ბოტანიკური ლექსიკონი, თბილისი

მაჭავარიანი 2006 – ნ. მაჭავარიანი, მცენარეთა ლექსიკა აფხაზურში, თბილისი

სახოკია 1985 – თ. სახოკია, მოგზაურობანი, თბილისი

ქაჯაია 2002 – ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, თ. III, თბილისი

ხალხური სიბრძნე 1994 – ხალხური სიბრძნე I, მეგრული და ლაზური ანდაზები, შემდგენლები რ. შეროზია, ო. მემიშიში, თბილისი

ქართველური ონომასტიკა VII Karvelian onomastics
VII, Article, p. 59-65, Publishing house "Universal"